

## ქორწინების ცნება და პირობები

სამოქალაქო კოდექსის მეხუთე წიგნი არეგულირებს საოჯახო სამართლებრივ საკითხებს. ქორწინების ცნება და პირობები მოწესრიგებულია სამოქალაქო კოდექსის 1106–1121-ე მუხლებით.

კანონმდებელი ქორწინებას განმარტავს, როგორც ქალისა და მამაკაცის ნებაყოფლობით კავშირს, რომელიც ოჯახის შექმნას ისახავს მიზნად და რეგისტრირებულია სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის ორგანოში. არ შეიძლება იძულებით, ძალდატანებით ქორწინება. ამასთან, სავალდებულო პირობას წარმოადგენს ის, რომ ქალისა და მამაკაცის სავალდებულო კავშირი ოჯახის შექმნას უნდა ისახავდეს მიზნად. ზოგჯერ ქალი და მამაკაცი წლების განმავლობაში ცხოვრობენ ერთად, აქვთ ოჯახი, ჰყავთ შვილები, მაგრამ მათი ცოლ–ქმრული ურთიერთობა არ არის რეგისტრირებული სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის ორგანოში. ასეთ შემთხვევაში, ისინი არ ჩაითვლებიან დაქორწინებულ მეუღლეებად და მათ არ წარმოეშობათ ის უფლებები და მოვალეობები, რომელთა შექენაც ქორწინების შედეგად ხდება. ამიტომ, ე. წ. ფაქტიური ცოლ–ქმრული ურთიერთობა სამართლებრივ შედეგებს არ იწვევს.

ქორწინებად არ ჩაითვლება, ასევე, **სამაკლუსიმო ჯემრისწმარბ**, რადგან სამართლებრივი შედეგები არც ამ დროს წარმოიშობა. ქალი და მამაკაცი ქორწინების რეგისტრაციისათვის ორ აუცილებელ პირობას უნდა აკმაყოფილებდნენ: მათ უნდა ჰქონდეთ საქორწინო ასაკი (18 წელი) და უნდა განაცხადონ თანხმობა დაქორწინებაზე. კანონმდებელი საქორწინო ასაკთან დაკავშირებით გამონაკლისს ითვალისწინებს იმ შემთხვევაში, თუ დასაქორწინებელ პირს, რომელსაც შეუსრულდა 16 წელი, ქორწინების თაობაზე მშობელმა ან სხვა კანონიერმა წარმომადგენელმა მისცა წინასწარი წერილობითი თანხმობა. თუ მშობელი ან კანონიერი წარმომადგენელი მას არ მისცემს თანხმობას, მაშინ დასაქორწინებელ პირს პატივსადები მიზეზების არსებობისას შეუძლია მიმართოს სასამართლოს და ამ გზით მოიპოვოს ქორწინების ნებართვა (1108-ე მუხლი). დასაქორწინებელმა პირმა პატივსადებ მიზეზად შეიძლება მიუთითოს ის, რომ იგი იმყოფება ფაქტობრივ ცოლ–ქმრულ ურთიერთობაში, ელოდება შვილს და ა.შ.

საქართველოში დამკვიდრებულია **წიშნოზის ინსტიტუტი**, მაგრამ იგი არ წარმოშობს შემდგომში ქორწინების ვალდებულებას, არც რაიმე სამართლებრივ შედეგს იწვევს. წიშნობასთან დაკავშირებული საჩუქრები დაუქორწინებლობის შემთხვევაში ქალსა და მამაკაცს უკან უბრუნდებათ.

დასაქორწინებელმა პირებმა პირადად უნდა შეიტანონ განცხადება სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის ორგანოში. არ შეიძლება, ეს განცხადება შეტანილ იქნას წარმომადგენლის მეშვეობით მინდობილობის საფუძველზე.

ქორწინების რეგისტრაციაც უნდა მოხდეს დასაქორწინებელი წყვილის უშუალო დასწრებით. ამასთან, მათ უნდა განაცხადონ, რომ იციან ერთმანეთის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ. კანონის მოთხოვნაა, რომ განცხადება ქორწინების რეგისტრაციის თაობაზე შეტანილ უნდა იქნას ერთი თვით ადრე ქორწინების დღემდე. თუ ქორწინების თაობაზე განცხადების შეტანიდან ერთი თვის გასვლის შემდეგ ქორწინების რეგისტრაცია არ მოხდება, განცხადება ძალაში რჩება კიდევ ორი თვის განმავლობაში. კოდექსი უშვებს ისეთ შემთხვევებსაც, როცა ქორწინების რეგისტრაციისათვის განცხადების ერთი თვით ადრე შეტანის ვადა მცირდება, ან განცხადების შეტანის დღესვე ხდება ქორწინების რეგისტრაცია. მაგალითად, ეს ხდება მაშინ, როცა წყვილი ბავშვს ელოდება, ან ერთ-ერთი მეუღლის სიცოცხლეს რეალური საფრთხე ემუქრება (1100-ე მუხლის მეორე და მესამე ნაწილი).

ქორწინების რეგისტრაცია ტარდება საზეიმო ვითარებაში, თუკი ამას მოითხოვენ დასაქორწინებელი პირები. მათი მოთხოვნითვე, თუ პატივსადები მიზეზი არსებობს, ქორწინების რეგისტრაცია შეიძლება მოხდეს სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის ორგანოს ადგილსამყოფელის გარეთ.

სამოქალაქო კოდექსის 1120-ე მუხლში ჩამოთვლილია ქორწინების დამაბრკოლებელი გარემოებანი. ქორწინება არ დაიშვება:

- როდესაც თუნდაც ერთი დაქორწინებულია სხვასთან;
- პირდაპირ აღმავალი ან დაღმავალი შტოს ნათესავებს შორის;
- ღვიძლ და აგრეთვე არაღვიძლ და–ძმას შორის;
- მშვილებელსა და ნაშვილებს შორის;
- იმ პირებს შორის, რომელთაგან თუნდაც ერთი სულით ავადმყოფობის ან ჭკუასუსტობის გამო სასამართლოს მიერ ცნობილია ქმედუუნაროდ. ამ მუხლის „ბ“, „გ“, „დ“ ქვეუბნქტები გამოიყენება მაშინაც, როდესაც ნათესაური ურთიერთობა მოიშალა გაშვილების შემდეგ.

თუ არსებობს ქორწინების დამაბრკოლებელი გარემოებები ან სხვა ხელისშემშლელი პირობა, სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის ორგანომ უარი უნდა განაცხადოს ქორწინების რეგისტრაციაზე. ეს უარი შეიძლება გასაჩივრდეს სასამართლოში. თუ განქორწინების შემდეგ პირს სურს ხელმეორედ დაქორწინება, მან უნდა წარმოადგინოს მოწმობა წინა ქორწინების შეწყვეტის შესახებ.

### უცხოელთა დაქორწინების წესი

თუ უცხოელს საქართველოში სურს დაქორწინება, მან უნდა წარმოადგინოს თავისი ქვეყნის სათანადო ორგანოების ცნობა, რომ არ არსებობს ამ ქორწინების დამაბრკოლებელი გარემოებანი. ეს წესი არ გამოიყენება მოქალაქეობის არმქონე პირთა მიმართ, ან იმ

სახელმწიფოს მოქალაქეების მიმართ, რომლებიც არ გასცემენ ზემოაღნიშნულ ცნობას.

#### განქორწინება

ქორწინების შეწყვეტა ხდება განქორწინებით. განქორწინების გარდა, ქორწინება შეიძლება შეწყდეს ერთ–ერთი მეუღლის გარდაცვალებით და კანონით დადგენილი წესით ერთ–ერთი მეუღლის გარდაცვლილად გამოცხადებით. განქორწინება არ დაიშვება, თუ ცოლი ორსულადაა, ან ბავშვი ერთ წლამდე ასაკისაა. ამ დროს საჭიროა ცოლის თანხმობა განქორწინებაზე.

განქორწინება შეიძლება მოხდეს ერთ–ერთი მეუღლის, ან სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის ორგანოს მიერ სარჩელის აღძვრთ სასამართლოში. ამ ორგანოში განქორწინება დაიშვება შემდეგ შემთხვევებში: თუ მეუღლეებს არა ჰყავთ არასრულწლოვანი შვილები და განქორწინების თაობაზე ურთიერთთანხმობა აქვთ; თუ ერთ–ერთი მეუღლე კანონით დადგენილი წესით აღიარებულია უგ ზოუკვლოდ დაკარგულად; თუ ერთ–ერთი მეუღლე სულით ავადმყოფობის ან ჭკუასუსტობის გამო აღიარებულია ქმედუუნაროდ, ან სასამართლოს მიერ მსჯავრდებულია დანაშაულისათვის თავისუფლების აღკვეთით არანაკლებ სამი წლისა.

თუ მეუღლეებს ჰყავთ არასრულწლოვანი შვილები, ან მათ შორის არის დავა, განქორწინების საქმეს ერთ–ერთი მეუღლის სარჩელის საფუძველზე განიხილავს სასამართლო მეუღლეების ერთობლივი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით. თუ სარჩელის შეტანის დროისათვის მეუღლეები ცალ–ცალკე ცხოვრობენ, მაშინ სარჩელი შეტანილ უნდა იქნას მოპასუხის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით. თუ მოპასუხე მეუღლეს არ გააჩნია საქართველოში საცხოვრებელი ადგილი, მაშინ განქორწინების საქმეს განიხილავს სასამართლო მოსარჩელის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით. თუ მოსარჩელესთან ცხოვრობენ არასრულწლოვანი შვილები, რაც აძნელებს მის გამოცხადებას სასამართლოში მოპასუხის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, საქმე შეიძლება გაირჩეს მისი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით. განქორწინების თაობაზე სარჩელის აღძვრა სასამართლოში ერთ–ერთ მეუღლეს შეუძლია პირადად ან წარმომადგენლის მეშვეობით (მინდობილობის საფუძველზე). მეუღლე შეიძლება პირადად არც გამოცხადდეს სასამართლოში და მის ნაცვლად პროცესში მონაწილეობა წარმომადგენელმა მიიღოს. ასევე, წარმომადგენლის მეშვეობით შეიძლება განქორწინება სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის ორგანოშიც.

სასამართლომ, პირველ ყოვლისა, უნდა მიიღოს ზომები მეუღლეთა შესაროგებლად. მას აქვს უფლება, ამისათვის გადადოს საქმის განხილვა და მეუღლეებს დაუწმწნოს ვადა შესარიგებლად, რომელიც არ უნდა აღემატებოდეს ექვს თვეს.

სასამართლო მხოლოდ იმ შემთხვევაში იღებს გადაწყვეტილებას განქორწინების თაობაზე, თუ

დაადგენს, რომ მეუღლეთა შემდგომი ერთად ცხოვრება და ოჯახის შენარჩუნება შეუძლებელია, მიუხედავად შესარიგებლად მიღებული ზომებისა. თუ მეუღლეები არ არიან შეთანხმებული განქორწინების შემდეგ შვილების საცხოვრებელი ადგილისა და მათ სარჩენად გადასახდელი თანხების თაობაზე, სასამართლო მოვალეა განქორწინებასთან ერთად გადაწყვიტოს ისიც, რომელი შვილი რომელ მშობელთან უნდა დარჩეს და რომელ მშობელს რა ოდენობით უნდა დაეკისროს აღიშენტი. სასამართლო ვალდებულია, ასევე, მეუღლეების ან ერთ–ერთი მათგანის თხოვნით, განქორწინების საქმესთან ერთად გადაწყვიტოს იმ ქონების გაყოფის საკითხი, რომელიც მეუღლეთა თანასაკუთრებაა. თუკი გაყოფა ეხება ისეთ ქონებას, რომელზედაც მეუღლეების გარდა სხვა პირებსაც გააჩნიათ საკუთრება, მაგალითად, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებაში ერთ–ერთი მეუღლის წილის გაყოფა, ასეთ შემთხვევაში ქონებრივი დავა არ შეიძლება გადაწყდეს განქორწინების საქმესთან ერთად. ამ შემთხვევაში, განქორწინების შესახებ გადაწყვეტილების გამოტანისას სასამართლო განსაზღვრავს თანხას 50-დან 200 ლარამდე, რომლიც უნდა გადაეხადოს ერთ ან ორივე მეუღლეს განქორწინების მოწმობის გაცემისას.

### ქორწინების შეწყვეტის მომენტი

სასამართლოს მიერ განქორწინების თაობაზე გადაწყვეტილების გამოტანა ჯერ კიდევ არ ნიშნავს იმას, რომ მეუღლეთა შორის ქორწინება შეწყვეტილია. სამოქალაქო კოდექსის აუცილებელი მოთხოვნაა, რომ სასამართლოს გადაწყვეტილება განქორწინების თაობაზე რეგისტრირებულ იქნას სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის ორგანოში. ამ ორგანოში განქორწინების რეგისტრაციის მომენტიდან ქორწინება ითვლება შეწყვეტილად. სამოქალაქო კოდექსის 1132-ე მუხლის პირველი ნაწილით განსაზღვრულია, რომ კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გადაწყვეტილების ზემოხსენებულ ორგანოში რეგისტრაცია შეიძლება მოხდეს კანონიერ ძალაში შესვლის დღიდან სამი წლის განმავლობაში. ამ ვადის გასვლის შემდეგ ხელახლა უნდა მოხდეს სარჩელის აღძვრა განქორწინების შესახებ.

განქორწინებულ მეუღლეებს უფლება აქვთ ხელახლა დაქორწინდნენ.

#### ქორწინების ბათილობა

განქორწინებისაგან უნდა განვასხვავოთ ქორწინების ბათილობა. განქორწინების შემდეგ ყოფილ მეუღლეებს ერთმანეთის მიმართ გარკვეული უფლებები და მოვალეობები წარმოეშობათ, მაგალითად, საერთო საკუთრების ქონებიდან წილის მოთხოვნის უფლება, შრომისუუნარო მეუღლის რჩენის მოვალეობა და ა.შ. ქორწინების ბათილობის შემთხვევაში კი არ ხდება იმ უფლებებისა და მოვალეობების წარმოშობა, რაც ქორწინებას ან განქორწინებას



მოსდევს. ქორწინების ბათილობა ნიშნავს იმას, რომ საქორწინო–საოჯახო ურთიერთობა თავიდანვე არ ყოფილა წარმოშობილი. ქორწინების ბათილობის საფუძვლები განსაზღვრულია სამოქალაქო კოდექსით. ეს საფუძვლებია: თუკი დაქორწინდა პირი, რომელსაც არ მიუღწევია საქორწინო ასაკისათვის, არც საქორწინო ასაკი ჰქონია შემცირებული და ამას მოითხოვს იმ მეუღლის ინტერესები, რომელიც დაქორწინდა საქორწინო ასაკის მიღწევამდე; ქორწინება მოხდა იძულების შედეგად და ასეთი ფაქტი დაადგინა სასამართლომ; ქორწინების რეგისტრაცია არ ისახავდა მიზნად ოჯახის შექმნას (ფიქციური ქორწინება); თუ ქორწინებისას არსებობდა სამოქალაქო კოდექსის 1120-ე მუხლით გათვალისწინებული დამაბრკოლებელი გარამოებები.

ქორწინება მხოლოდ სასამართლოს მიერ შეიძლება იქნას ცნობილი ბათილად არავის არ შეუძლია მიუთითოს ქორწინების ბათილობაზე სასამართლოს გადაწყვეტილების გარეშე. არ შეიძლება ქორწინების გაბათილების მოთხოვნა ორივე მეუღლის გარდაცვალების შემდეგ. მართალია, ბათილი ქორწინება არავითარ სამართლებრივ შედეგებს არ წარმოშობს, მაგრამ თუ ასეთი ქორწინების შედეგად ბავშვი დაიბადება, მას ენიჭება იგივე უფლებები, რაც კანონური ქორწინების შედეგად დაბადებულ ბავშვს.

## მეულღეთა თანასაკუთრება

მეუღლეთა მიერ ქორწინების განმავლობაში შეძენილი ქონება წარმოადგენს მათ საერთო ქონებას (თანასაკუთრებას), თუ მათ შორის საქორწინო ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის დადგენილი (1158-ე მუხლი). თუ მეუღლეებმა ერთად ცხოვრების პერიოდში შეიძინეს მიწის ნაკვეთი, ან საცხოვრებელი სახლი (შენობა–ნაგებობები) და ეს ქონება საჯარო რეესტრში მხოლოდ ერთი მეუღლის სახელზე იქნა რეგისტრირებული საკუთრებაში, მეორე მეუღლეს მაინც აქვს საკუთრების უფლება ასეთი ქონების ნახევარზე. მეუღლეთა თანასაკუთრების წარმოშობისათვის არა აქვს მნიშვნელობა, ეს ქონება მეუღლეებმა საერთო შრომით შეიძინეს, თუ მხოლოდ ერთი მეუღლის სახსრებით იქნა შეძენილი. ის მეუღლე, რომელიც საოჯახო საქმიანობას ეწევა, უვლის შვილებს და არა აქვს დამოუკიდებელი შემოსავალი, საერთო ქონების თანამესაკუთრეა. მეუღლეებს საერთო საკუთრების ქონების ფლობა, სარგებლობა და განკარგვა შეუძლიათ ურთიერთშეთანხმებით. თუ ერთ-ერთი მეუღლე გაყიდის, გააჩუქებს, დააგირავებს, იპოთეკით დატვირთავს, ან სხვაგვარად განკარგავს საერთო ქონებას მეორე მეუღლის თანხმობის გარეშე, ასეთი განკარგვის თაობაზე დადებული ხელშეკრულება შეიძლება ბათილად იქნას ცნობილი მეორე მეუღლის მოთხოვნით მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ქონების განმკარგავ მეუღლეს არ ჰქონდა ამის უფლებამოსილება და დამტკიცებული იქნება, რომ მან იცოდა ან უნდა სცოდნოდა, რომ მას ასეთი უფლება არ ჰქონდა (1160-ე მუხლი).

## მეუღლეთა ინდივიდუალური საკუთრება

მეუღლეთა თანასაკუთრებისგან განსხვავდება მეუღლეთა ინდივიდუალური საკუთრება. თითოეული მეუღლის საკუთრებას წარმოადგენს ის ქონება, რომელიც მას ეკუთვნოდა დაქორწინებამდე, ასევე, ქონება, რომელიც ქორწინების განმავლობაში მიღებულ იქნა მემკვიდრეობით ან ჩუქებით (1161-ე მუხლი). ინდივიდუალური სარგებლობის ნივთები (კოსმეტიკური ნივთები, ტანსაცმელი, ფეხსაცმელი, ყელსაბამი და ა.შ.), ძვირფასეულობის გარდა, თუნდაც ქორწინების განმავლობაში იყოს შეძენილი მეუღლეთა საერთო თანხებით, ჩაითვლება იმ მეუღლის საკუთრებად, რომლიც სარგებლობს ამ ნივთებით (1162-ე მუხლი). თუ მეუღლეს დაქორწინებამდე ჰქონდა საცხოვრებელი სახლი და იგი გაასხვისა ქორწინების შემდეგ, მიღებული თანხა არ ჩაითვლება მეუღლეთა თანასაკუთრებად; მეუღლეთა თანასაკუთრებას არ წარმოადგენს ის ქონებაც, რომელიც შეძენილ იქნა ერთად ცხოვრების პერიოდში ერთ-ერთი მეუღლის ინდივიდუალური საკუთრების ქონების გაყიდვის შედეგად მიღებული ფულადი სახსრებით.

სამოქალაქო კოდექსის 1163-ე მუხლით გათვალისწინებულია, რომ თითოეული მეუღლის ქონება შეიძლება ჩაითვალოს მეუღლეთა თანასაკუთრებად, თუ დადგინდება, რომ ქორწინების განმავლობაში განეული ხარჯების შედეგად ამ ქონების ღირებულება მნიშვნელოვნად გადიდდა (გადაგემარება, მშენებლობის დასრულება, გადააკეთება და სხვა). ეს წესი არ გამოიყენება, თუ საქორწინო ხელშეკრულებით სხვა რამ იქნება გათვალისწინებული.

მეუღლეებს უფლება აქვთ, მოითხოვონ საერთო ქონების გაყოფა როგორც ქორწინების განმავლობაში, ისე განქორწინების შემდეგაც. თუ ქონების გაყოფის თაობაზე მეუღლეები ვერ შეთანხმდებიან, მაშინ შეიძლება სასამართლოს მიერ მოხდეს ქონების გაყოფა. პროფესიული საქმიანობისათვის საჭირო ნივთები (მუსიკალური ინსტრუმენტი, საექიმო მოწყობილობა ბიბლიოთეკა და ა.შ.), თუნდაც ქორწინების პერიოდში იყოს შეძენილი მეუღლეთა საერთო სახსრებით, გადაეცემა იმ მეუღლეს, რომელსაც ეს ნივთები თავისი საქმიანობისათვის სჭირდება. მეუღლეებს ქონების გაყოფისას აქვთ თანაბარი წილის მოთხოვნის უფლება, მაგრამ მათ შორის შეთანხმებით შეიძლება სხვა რამ იყოს გათვალისწინებული. თუ საერთო ქონების გაყოფისას ერთ-ერთ მეუღლეს გადაეცემა ისეთი ნივთები, რომელთა ღირებულებაც მის კუთვნილ წილს აღემატება, მაშინ მეორე მეუღლეს მიეცემა შესაბამისი ფულადი ან სხვაგვარი კომპენსაცია (1168-ე მუხლი). სასამართლოს შეუძლია მეუღლეთა ქონების გაყოფისას გადაუხვიოს მათი წილის თანაბრობის საწყისს და ერთ-ერთ მეუღლეს მიაკუთვნოს უფრო მეტი წილი, თუ მასთან ცხოვრობენ არასრულწლოვანი შვილები, იგი შრომისუუნაროა, ანდა მეორე

მეუღლე ხარჯავდა საერთო ქონებას ოჯახის ინტერესების საზიანოდ (1168-ე მუხლის მეორე ნაწილი). თუ მეუღლეები ფაქტობრივად დაშორებულნი არიან, მაგრამ მათ შორის ქორწინება არ შეწყვეტილა და ამ პერიოდში ერთ-ერთმა მეუღლემ შეიძინა ქონება, ასეთი ქონება მეუღლეთა თანასაკუთრებად არ ჩაითვლება. თუ მეუღლეები ცალ–ცალკე ცხოვრობენ და მათ შორის განქორწინება ოფიციალურად არ არის გაფორმებული, მაგრამ ერთი მეუღლე ეხმარება მეორეს ქონების შექენაში ოჯახის აღდგენის მიზნით, ასეთი ქონება ჩაითვლება მეუღლეთა თანასაკუთრებად (1168-ე მუხლის მესამე ნაწილი).

თუ მეუღლეებმა ოჯახის ინტერესებისათვის აიღეს ვალი, ის საერთო ვალია და იგი იყოფა საერთო ქონებაში თითოეულის კუთვნილი წილის შესაბამისად. მაგრამ ერთ-ერთი მეუღლის მიერ პირადი ინტერესებისათვის აღებული ვალის დაფარვა უნდა მოხდეს მისი ქონებიდან, ან თანასაკუთრებაში მისი წილიდან.

სამოქალაქო კოდექსის 1171-ე მუხლით დადგენილია მეუღლეთა საერთო ქონების გაყოფის მოთხოვნის სპეციალური ხანდაზმულობის ვადა, რომელიც სამ წელს შეადგენს და ამ ვადის ათვლა იწყება განქორწინების რეგისტრაციის მომენტიდან.

### საქორწინოხელშეკრულება

საქორწინო ხელშეკრულებით განისაზღვრება მეუღლეთა ქონებრივი უფლებები და მოვალეობები, როგორც ქორწინების განმავლობაში, ისე განქორწინებისას. ასეთი ხანის ხელშეკრულება შეიძლება ქორწინების რეგისტრაციამდეც იქნას დადებული, მაგრამ იგი ძალაში შედის ქორწინების რეგისტრაციის მომენტიდან. სამოქალაქო კოდექსის 1174-ე მუხლით გათვალისწინებულია საქორწინო ხელშეკრულების გაფორმების სპეციალური ფორმა; ის უნდა დაიდოს წერილობით და დადასტურდეს სანოტარო წესით. საქორწინო ხელშეკრულებით მეუღლეებს შეუძლიათ შეცვალონ საერთო საკუთრებისათვის კანონით დადგენილი წესი. მათ შეიძლება ამ ხელშეკრულებით უარი თქვან თანაზიარ საკუთრებაზე, ან ერთ-ერთმა მეუღლემ თავისი ინდივიდუალური საკუთრება ჩარიცხოს მეუღლეთა თანასაკუთრებაში. თუ საქორწინო ხელშეკრულებით გათვალისწინებულია ისეთი პირობა, რომელიც მძიმე მდგომარეობაში აყენებს ერთ-ერთ მეუღლეს, მისი განცხადების საფუძველზე სასამართლოს შეუძლია შეცვალოს საქორწინო ხელშეკრულების ეს პირობა (1181-ე მუხლი).